პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 172 (3656)

1968 წ. 1 სექტემბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონატი ადგილს იცვლის

რომი, 30 აგვისტო (საკუთარი სპეციალური კორესპონდენტი ბ. ერმაკოვი). დღეს რომიდან იმოლას გემგზავრა სატრეკო ველოსპორტში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. იტალიის ჩრდილოეთს მიაშურეს ჟურნალისტებმაც — მათ ხომ სპორტულ სამყაროს უნდა მოუთხრონ შაბათისა და კვირის საგზატკეცილო რბოლების ამბავი. ველოსპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთათვის შერჩეულია საკმაოდ რთული წრიული ტრასა ქალაქის გარეუბანში. მაყურებლები ცნობილი ავტოდრომის ტრიბუნებიდან საინტერესო ბრძოლების მოწამენი იქნებიან. ქალები 31 აგვისტოს 55,187 კილომეტრს გაივლიან, პროფესიონალი ვაქები კი 1 სექტემბერს — 277,308 კილომეტრს. და აი, პარადოქსი: გამოცხადდა, რომ სუსტთა ჩქესის წარმომადგენლებს რბოლის პროცესში საკვების მიღების უფლება არ ექნებათ, ვაჭებს კი პირიქით. თუმცა, ქალები ფინიშის ხაზს დაახლოებით 2 საათში გადაჰკვეთენ.

მსოფლიო პირველობა ქალთა საგზატკეცილო რბოლაში 1958 წლიდან ტარდება და საბჭოთა სპორტსმენმა იგი მხოლოდ ერთხელ, 1964 წელს მოიგო. ეს იყო რიგელი ე. სონკი. იგი ამ ჩემპიონატშიც მონაწილეობს. გარდა სონკისა ჩვენს გუნდში გამოდიან ლ. ზადოროჟნაია (ხარკოვი), ნ. კარატაევა (ალმა-ათა), ა. კონკინა (ლენინგრადი), ნ. ტროფიმოვა (მოსკოვი) და ბ. ცაუნე (რიგა).

რომელი უცხოელი სპორტსმენი აცხადებს პრეტენზიას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე? ამ შეკითხვაზე კარატაევამ, ამ ჯგუფიდან რომის ტრეკზე მოსაპარეზე ერთადერთმა სპორტსმენმა, უყოყმანოდ დაასახელა ინგლისელი ბ. ბარტონი, რომელმაც შარშან ლამაზად მოიგო მსოფლიო პირველობა.

ვნახოთ, რამდენად ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევენ მას საბჭოთა ქალები და სხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

• • •

სურათზე: სპრინტერული რბოლაში გამარჯვებული საბჭოთა ველოსიპედისტები (მარცხნიდან)— ი. კირიჩენკო (II ადგილი), ა. ბაგიანცი (I ადგილი) და გ. ერმოლაევა (III ადგილი).

ფოტო იუპი — საკდესისა.

უკანასკნელ საათს!

◆ მეხიკო, 31 აგვისტო. XIX ოლიმპიური თამაშების მონაწილე უცხოელთაგან მექსიკის დედაქალაქს პირველნი გვატმალელები ეწვივნენ. ამ ქვეყნის დელეგაციაში 6 სპორტსმენია: ისინი გამოვლენ ჭიდაობაში, მძლეოსნობასა და ძალოსნობაში. ოლიმპიური სოფლის გახსნამდე, ე. ი. 12 სექტემბრამდე, სტუმრები მექსიკის გუნდთან ერთად ივარჯიშებენ.

რეკორდები • უფრო მაღლა და მაღლა...

ხარკოვი, 30 აგვისტო. უკრაინის მძლეოსანთა ჩემპიონატში დღეს წარმატებით იასპარეზა აჭაურმა ინვინერმა გ. ბალიზნეცოვმა, რომელმაც ჭოკით ხტომაში 524 სმ გადალახა და 4 სანტიმეტრით გაუმჯობესა საკავშირო რეკორდი, რომელიც მან შარშან მეხიკოს ოლიმპიურ კვირეულში დაამყარა.

ევროპის ახალი...

ბერლინი, 30 აგვისტო. დასავლეთ ბერლინს გამართულ შეჯიბრებაში დღეს ევროპის ახალი რეკორდი 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში დაამყარა ვ. პოლტაუსმა (გფრ) — 4.44,0.

მოცურავეთა "ლელოს" სტარტები

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ზ. აკოფოვი გუშინ წახკაძორში შეხვდა ცურვის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარეს ზ. ფირსოვს და ხთხოვა ეამბნა საბჭოთა ნაკრების სამზადისზე მეხიკოს ოლიმპიადისთვის. აი, რა თქვა ფირსოვმა:

— 2 სექტემბერს აქ, წახკაძორის შესანიშნავ აუზში დაიწყება სსრ კავშირის მოცურავეთა მორიგი ჩემპიონატი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოლიმპიურ წელიწადს გამართული ყველა ეროვნული ჩემპიონატი ამ დიდი თამაშებისთვის მზადების ნიშნით მიმდინარეობს. გამონაკლისს, ცხადია, არც ჩვენი ქვეყნის პირველობა წარმოადგენს. ოღონდ ეს არის, წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ ოლიმპიურ სტარტამდე სულ რაღაც თვენახევრით ადრე ტარდება.

XIX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე საბჭოთა ნაკრები გუნდების შემადგენლობა თითქმის ყველა სახეობაშია დაზუსტებული. გამონაკლისია მხოლოდ ცურვა და ველოსპორტი, ვინაიდან ამ სახეობებში ბოლო შეჯიბრებები ჯერ კიდევ არ გამართულა. ველოსიპედისტებმა 31 აგვისტოს აიღეს სტარტი სევანის ტბის მიდამოებში, მოცურავენი კი, როგორც გითხარით, 2 სექტემბერს ჩაებმებიან ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის ამ ჩემპიონატს ნაკრები გუნდის შემადგენლობის დაზუსტებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. მართალია, ბევრი სპორტსმენისთვის საკითხი დადებითად ადრევე გადაწყდა, მაგრამ ზოგიერთისთვის ეს შეჯიბრება მეხიკოს საზღურის მოპოვების ბოლო შანსი გახლავთ.

აი, რა არის ამ ჩემპიონატისთვის დამახასიათებელი: 1. სასპარეზოდ დავუშვით უძლიერესთა „ვიწრო წრე"—სულ ის 60 მოცურავე, რომელთაგანაც უნდა შეირჩეს ქვეყნის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა; 2. შეჯიბრების სისტემა, რეგლამენტი და კალენდარი მეხიკოს თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ტურნირის ზუსტი მოდელია, ე. ი. ოლიმპიადის მსგავსად აქაც გაიმართება წინასწარი ტურნირები, ნახევარფინალები და ფინალები.

ტოკიოში საბჭოთა ნაკრებმა ცურვაში 30 ქულით IV ადგილი დაისაკუთრა. ბოლო ოთხ წელიწადში სპორტის ამ სახეობაში თვალსაჩინოა საგრძნობი წინსვლა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, განსაკუთრებით, მექსიკაში, სადაც მანამდე ცურვა ძალიან სუსტად იყო განვითარებული. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, ძლიერი გუნდები ჰყავთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, უნგრეთს, შვეიცარიას, ჰოლანდიას... თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ და მხედველობაში მივიღებთ, რომ წლევანდელი სეზონის პირველი ნახევრის შედეგებით საბჭოთა ნაკრებს მსოფლიოში II ადგილი უკავია, მეხიკოში წარმატების იმედი უნდა ვიქონიოთ.

სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის დამახასიათებელი ნიშანია ისიც, რომ ამ შეჯიბრების მთავარი ორიენტირი მეტად მაღალი ოლიმპიური ნორმატივებია, რომელთა შესრულება სპორტსმენს მეხიკოს საგზურს აძლევს. აქვე დავსძენ, რომ საასპარეზოდ დაშვებულ ნაკრებში ბევრია 14-17 წლის ახალგაზრდა, რაც სასიხარულო ფაქტია.

გამოცდილი სპორტსმენების ს. ბელიც-გეიმანის, გ. პროზუმენშჩიკოვის, ს. ბაბანინას, ვ. კოსინსკის, ა. ტუტაკავის გვეღირდით წახკაძორში ნორჩებიც ცდიან ძალას. ყველას ჩამოთვლას და დახასიათებას არ შევუდგები, მაგრამ ვიტყვი ერთ თქვენს თანამემამულეზე, თბილისის მე-19 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელ თინა ლეკვეიშვილზე. იგი ჩვენი ნაკრების ყველაზე ნორჩი მონაწილე და ყველაზე პერსპექტიული სპორტსმენია. სადღეისოდ თინა ერთ-ერთი უძლიერესი გულალმა მოცურავეა ჩვენში. ამას წინათ აქ გამართულ შესარჩევ შეჯიბრებაში 100 მეტრზე გულალმა ცურვაში მან სსრ კავშირის რეკორდსმენს, ლენინგრადელ თ. საველიევასაც კი აჯობა. მართალია, თბილისელმა გოგონამ მაშინ 1.11,7 აჩვენა, მაგრამ პირველობის მოსაპოვებლად ესეც საკმარისი გამოდგა.

მჯერა, რომ ლეკვეიშვილი წლეულს თუ ვერ მიაღწევს დიდ წარმატებებს, უახლოეს მომავალში ჩვენ ბევრჯერ ვიქნებით საერთაშორისო სარბიელზე მისი გამარჯვებების მოწმე.

რატომ მაინცდამაინც წახკაძორში ავირჩიეთ საკავშირო ჩემპიონატის მასპინძლად? თავისი ადგილმდებარეობითა და კლიმატური პირობებით იგი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად უახლოვდება მეხიკოს. რა თქმა უნდა, სიმაღლის ფაქტორის გავლენით მაღალ შედეგებს — საკავშირო და მსოფლიო რეკორდებს არ ველით, მაგრამ თუ რეკორდები მაინც იქნა, ეს გუნდის კარგი მომზადების დამადასტურებელი იქნება.

ამერიკის მოცურავეთა ამასწინანდელი ჩემპიონატი, რომელიც დაბლობის აუზში გაიმართა, რამდენიმე მსოფლიო რეკორდით აღინიშნა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები ამ თამაშებზე წარმომადგენლებს მოიპოვებენ მეხიკოში.

თუ როგორი იქნება ამერიკის და სსრ კავშირის მოცურავეთა ძალთა შეფარდება, ამას ოლიმპიადა გვიჩვენებს. ერთი რამ ცხადია: თუ ამერიკელები ოლიმპიადაზე I ადგილს დაიკავებენ, საბჭოთა მოცურავეებს II ადგილზე გასვლის ყველა შანსი აქვთ.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ...

მოსკოვში გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილმბრივი და ქუთაისის ტორპედოელები. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0. მეორე მატჩში კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" შინ დაამარცხა როსტოვის არმიელთა კოლექტივი — 1:0.

ზღაპრული კენჭისყრა

ციურიხი, 30 აგვისტო. (საკდესი). ფეხბურთის ასოციაციების ევროპულმა კავშირმა (უეფა) დღეს აქ მოაწყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებების მონაწილეთა ხელახალი, ნაწილობრივი კენჭისყრა.

კიევის დინამოელები პირველი ტურნირის მეთექვსმეტედფინალში შეხვდებიან არა შვეიცარიის „ციურიხს", როგორც ეს პირველმა კენჭისყრამ დაადგინა, არამედ პოლონეთის ჩემპიონს — ქალაქ ხოჟუვის „რუხს". პირველი შეხვედრა გაიმართება კიევში.

მოსკოვის დინამოელთა მეტოქე თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში იქნება გდრ-ის კლუბი „უნიონი". მოსკოველები მეტოქეს ასევე პირველად თავის მინდორზე პოვიდებენ.

აი, როგორია პირველი კენჭისყრის სხვა შესხორებები:

ჩემპიონთა თასი

„მალმე" (შვეცია) — „მილანი" (იტალია)
„ციურიხი" (შვეიცარია) — „აკადემისკი" (დანია)
„ხენტ ეტიენი" (საფრანგეთი) — „სელტიკი" (შოტლანდია)
„სტეაუა" (რუმინეთი) — „სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია)
„კარლ ცაისი" (გდრ) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია)
„ლევსკი" (ბულგარეთი) — „ფერენცვაროში" (უნგრეთი)

თასების მფლობელთა თასი

„ალთაი" (თურქეთი) — „ლიუნი" (ნორვეგია)
„ბორდო" (საფრანგეთი) — „კოლნი" (გფრ)
„ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) — „რეიკიავიკი" (ისლანდია)
„სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია) — „ბორი" (იუგოსლავია)
„დუკლა" (უნგრეთი) — „დინამო" (რუმინეთი)
„სპარტაკი" (ბულგარეთი) — „გურნიკი" (პოლონეთი).

დაუცხრომელი „ტიფოზები"

რომი, 30 აგვისტო. დღევანდელი იტალიური გაზეთების ფურცლები პირდაპირ წალეკა აღფრთოვანების ტალღებმა ტრეკზე სპრინტერულ რბოლაში იტალიელი პროფესიონალის ჯუზეპე ბეგეტოს გუშინდელი გამარჯვების გამო.

უნდა ითქვას, რომ შესამჩნევად შეთხელდა რიგები პროფესიონალი მრბოლელებისა, რომლთაც თვიანთი რეკლამისთვის ინახავდნენ მდიდარი ფირმები. როგორც ჩანს, ეს ფირმები გაძუნწდნენ: პროფესიონალთა რიგები ტკბილი ცხოვრების გამო როდი შეთხელდა. ამჯერად, კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებით პოპულარულ პროფესიონალ სპრინტერთა შორის დარჩა სულ 4-5 მრბოლელი, რომლებიც მაღალ ოსტატობას ავლენენ. მაგალითად, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი გაიარდონი იტალიის პროფესიონალთა გუნდიდან დაითხოვეს იმის გამო, რომ, როგორც მწვრთნელმა გვიდო კოსტამ განაცხადა, იგი „ერთობ დამძიმდა".

ჯუზეპე გამარჯვებამ იტალიელი „ტიფოზების" უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია. გაბარებული რომაელების აღტაცების გადმოცემა სიტყვით შეუძლებელია — ეს კაცს თავისი თვალით უნდა ენახა. დაბოლოს, ბეგეტო პირდაპირ ველოსიპედიანად ხელთ აიტაცეს და ასე გაიტანეს ტრეკიდან.

1969 წლის იანვარს, ალმა-ათაში

მართალია, სსრ კავშირის ვაჟთა 36-ე საჭადრაკო ჩემპიონატი ამჯერად მსოფლიოს პირველობის შესარჩევი შეჯიბრება არ იქნება (როგორც შარშანდელი ჩემპიონატი იყო), მაგრამ იგი მაინც უაღრესად მიმზიდველ ბრძოლას გვპირდება. ამის თავდებია მონაწილეთა ძალა და გამოცდილება, ნიჭი და გამარჯვებისკენ ლტოლვა.

ჩვენი ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა ფინალში ათამაშოს 24 კაცი: 8 პერსონალურად მიწვეული და შესარჩევ შეჯიბრებებში 18 გამარჯვებული.

პერსონალურად მიწვეული არიან სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის წევრები: ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი, ვ. კორჩნოი, ლ. შტეინი, მ. ტალი და ე. გელერი, აგრეთვე, 36-ე ჩემპიონატის პრიზიორები — დიდოსტატები ლ. პოლუღაევსკი და ე. ვასიუკოვი.

ფინალის საგზურები შესარჩევ ტურნირებში მოიპოვეს: დიდოსტატმა ა. ზაიცევმა, ოსტატებმა ა. ლეინმა, ლ. ცეშკოვსკიმ (რსფსრ-ს პირველობა), ოსტატებმა ი. სახაროვმა, მ. პოდგაეცმა და ი. პლატონოვმა (უკრაინის პირველობა), დიდოსტატებმა დ. ბრონშტეინმა, ი. ავერბახმა, ვ. ლიბერზონმა, ოსტატმა ი. ზაიცევმა (მოსკოვის პირველობა), ოსტატებმა ბ. გურგენიძემ, ი. კლოვანმა (ტალინის ნახევარფინალი).

ორ მონაწილეს დაასახელებს ლენინგრადის პირველობაში გამარჯვებულთა — ა. ჩერეპკოვის, ვ. ოსნოსისა და ვ. ბიკოვის მატჩტურნირი (შეჯიბრება ოქტომბერში გაიმართება), ორსაც — გოგონის ნახევარფინალი, რომელიც ფინიშს მიუახლოვდა. ფინალის საგზურებზე აქ თვალი უჭირავთ ტურნირის ლიდერებს — ოსტატებს ვ. ბაგიროვს, ა. კაპენგუტს, ა. კუპრეიჩიკსა და ა. ნიკიტინს.

36-ე ჩემპიონატი გაიმართება 1969 წლის იანვარს ალმა-ათაში.

ხვალ იწყება ახალი სასწავლო წელი
საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში

აქტიურად, შინაარსიანად...

სად და როგორ გაატარეს წლევანდელი არდადეგები მოსწავლე და სტუდენტმა სპორტსმენებმა? რა სიახლეებით ხვდებიან სკოლები, ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლები ახალ სასწავლო წელს? — ამ კითხვებით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა თ. ბაჩილაძემ საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსს ი. ბაცელაშვილს, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სექტორის უფროსს ვ. ხომერიკს.

ი. ბაცელაშვილი. როგორც ცნობილია, გაისად მოსწავლეთა XI საკავშირო სპარტაკიადა ტარდება. ამიტომ წლეულს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსწავლეთა სპორტული, გამაჯანსაღებელი და ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელო შეკრებების უკეთ ორგანიზაციას.

ბანაკებისთვის ადგილები საგულდაგულოდ შეირჩა. მძლეოსნებმა აფხაზეთში დაისვენეს, № 1 სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა — ბათუმში. კომპლექსური სპორტსკოლისთვის კოჯორი ვარჩიეთ, ფეხბურთელებისთვის — სიღნაღის რაიონის სოფელი ბოდბე. ამ ბანაკებში ორი ათასზე მეტმა მოსწავლე სპორტსმენმა დაისვენა ორ ნაკადად.

წვრთნისა და აქტიური გართობა-დასვენების ყოველგვარი პირობები შეეუქმნით ნაკრებ გუნდებს, სოხუმის საუკეთესო ბაზები დაეთმოთ ტანმოვარჯიშეებს და კალათბურთელებს. ბათუმში გაატარეს ზაფხული მოცურავეებმა, მძლეოსნებმა და ველოსიპედისტებმა. ფრენბურთელები მოსკოვში, ლუტინოში ცხოვრობდნენ და ვარჯიშობდნენ. სოხუმში დასვენების შემდეგ წყალბურთელებმა ტურნე გამართეს მოსკოვსა და კიევში. წყალში მხტომელები ხარკოვში იყვნენ შეკრებაზე და ამხანაგურ შეხვედრებს მართავდნენ თანატოლებთან.

ნორჩ სპორტსმენებს მეტად პასუხსაგები ოფიციალური შეხვედრები ჰქონდათ პროგრამული ასაკის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაში: უკრაინის ქალაქ ჩერნოვცში გამოდიოდნენ ფოთის მე-9 საშუალო სკოლის მოშაშებე; თბილისის მე-60 სკოლის ჭაბუკები და 126-ე სკოლის გოგონები მოსკოვში ასპარეზობდნენ ფრენბურთში.

ახალ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდებიან რესპუბლიკის სკოლები. ბევრგან სკოლას შიუშენეს სპორტული დარბაზი და კეთილმოაწყეს არსებული ბაზა. ლანჩხუთის რაიონის სოფელ გვიმბალაურის და დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვრის მოსწავლეები ხვალ ახალ შენობაში შეხვდებიან სასწავლო წელს. მათ აქ დახვდებათ ფართო და ნათელი სპორტდარბაზი, ღია კომპლექსური მოედნები.

კარგი ნაყოფი გამოიღო სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ერთთვიურმა კონკურსმა. ამ ინიციატივის შედეგად ასობით მოედანი აშენდა და კეთილმოეწყო. წლეულს მესამედ ვატარებთ ასეთ ღონისძიებას, რომელიც 20 სექტემბრამდე გასტანს.

ვ. ხომერიკი. არდადეგებზე 1200-ზე მეტმა სტუდენტმა დაისვენა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების გამაჯანსაღებელ ბანაკებში. წლეულს შეექვსედ შეხვდა დამსვენებლებს უნივერსიტეტის გამაჯანსაღებელი ბანაკი „ქროს ნაპირი“ გუდაუთაში. ამ ზღვისპირა ქალაქში საკუთარი ბანაკი აქვს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტსაც. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები კი ორი წელია ბათუმში ადგილობრივ პედინსტიტუტის ბაზაზე ატარებენ ზაფხულის არდადეგებს. საკუთარი კეთილმოწყობილი ბანაკი აქვთ ავადჰარაში სოხუმის პედაგოგიურ და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებს. თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტები ბიჭვინთაში ისვენებენ ყოველწლიურად.

გამაჯანსაღებელ ბანაკებში ისინიც ისვენებდნენ, ვისაც საკუთარი ბაზები არა აქვს. მაგალითად, ცხინვალელი სტუდენტები უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტებთან ატარებდნენ ზაფხულს, თელაველები — უნივერსიტეტელებთან.

ჩვენმა სპორტსმენებმა რამდენიმე ამხანაგური და საერთაშორისო შეხვედრა გამართეს ზღვისპირა კურორტების გამაჯანსაღებელ ბანაკებში დასასვენებლად ჩამოსული საბჭოთა და უცხოელ სტუდენტებთან. სისტემატურად ეწყობოდა ექსკურსიები და ტურისტული ლაშქრობები. მხატვრული თვითმოქმედების მოყვარულნი კონცერტებს მართავდნენ.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ამ სასწავლო წლიდან საექსპერიმენტაციოდ მიიღებს ზღვის სანაპიროზე გაშენებულ კომპლექსურ სპორტბაზას.

წლეულს ქუთაისისა და ცხინვალის ინსტიტუტებში პირველად ჩატარდა მისაღები გამოცდები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალობით (შარშან ამ სპეციალობით სტუდენტები მიიღო სოხუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა).

ამ წელიწადს გაცილებით უკეთაა ტექნიკუმებში სპორტული ბაზების მოწყობის საქმე. ქუთაისის და ბორჯომის სატყეო, თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმები ხვალ პირველ მეცადინეობას ჩაატარებენ ახალ დარბაზებში. სპორტმოედნები მოაწყვეს თბილისის მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმებმა.

„ლელო“ ინფორმაციუ

პროგლემები, გამოკვლევები, ძიებანი

5. ე. ლასკერის გარათი

ზუგდიდის მუზეუმის მასალების მიხედვით



ჩვენი საუკუნის დამდეგს მონტე-კარლოს მესვეურებმა ავარაკზე დამსვენებელთა მისაზიდად საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირების ჩატარება დაიწყეს. 1901-1904 წლებში ოთხი ტურნირი მოეწყო. შეჯიბრებებში ბევრმა გამოჩენილმა დიდოსტატმა მიიღო მონაწილეობა.

1903 წლის ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა თავის საპატიო ხელმძღვანელად ქართველი მოჭადრაკე ანდრია დადიანი მიიწვია. ეს შემთხვევითი რიდი იყო. ევროპა კარგად იცნობდა დადიანსა და მის შემოქმედებას საჭადრაკო ყურნალების მიხედვით, იცოდა მისი ხელგაშლილობაც. ჭადრაკის გამოჩენილი საბჭოთა ისტორიკოსი ნ. გრეკოვი წერს, რომ დადიანს „ძლიერ მოჭადრაკედ და ჭადრაკის დიდ მოყვარულად სთვლიდნენ“.

მოვალეობის შესრულებას დადიანი 1902 წლის ზაფხულში შეუდგა. თადარიგი დაიჭირა, რომ არ დაეშვებინა მონტე-კარლოს ტურნირის ჩატარების ვადა: ბრძოლა მუდამ თებერვალში იწყებოდა.

დადიანმა პირადად გაუგზავნა მოწვევა გამოჩენილ დიდოსტატებს — გერმანელ ზ. ტარაშს, უნგრელ გ. მაროცის, ამერიკელ ჰ. პილსბერის, ავსტრიელ კ. შლეპტერს და ბევრ სხვას. ზოგიც სატურნირო კომიტეტმა მოიწვია.

განსაკუთრებით გულთბილი ბარათი გაუგზავნა დადიანმა მსოფლიოს იმდროინდელ ჩემპიონს ე. ლასკერს, რომელიც იმხანად ინგლისში ცხოვრობდა და მონტე-კარლოს ტურნირში არასოდეს გამოსულიყო. მალე პასუხიც მოვიდა: „მანჩესტერი, 1902 წლის 17 სექტემბერი.

მის ბრწყინვალებას სამეგრელოს პრინცს დადიანს.

ძვირფასო ბატონო!

თქვენი 15 აგვისტოს გამოგზავნილი ძალიან სასიამოვნო ბარათის პასუხად ვჩქარობ მოგახსენოთ, რომ ჩემი უყველაზე დიდი სურვილია მონაწილეობა მივიღო ტურნირში, რომელიც თქვენი ბრწყინვალების მფარველობით სარგებლობს.

ვითამაშებ თუ არა ტურნირში, დამატებით გაცნობებთ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მექნება. მივემგზავრები ამერიკაში.

ჩემი მისამართი იქნება: ნიუ-იორკი, მანჰეტენის საჭადრაკო კლუბი, 22-ე ქუჩა, სე-2 ავენიუ.

პატივი მაქვს ვიყო თქვენი ძალიან ერთგული, ემანუილ ლასკერი“.

1900-1904 წლებში ლასკერი საერთაშორისო ტურნირებში არ მონაწილეობდა. მას უყელა თვალსაჩინო მეტოქე დამარცხებული ჰყავდა და დიდების მწვერვალზე იდგა. ლასკერი გატაცებით მეცადინეობდა მათემატიკასა და ფილოსოფიაში, ამზადებდა მასალას შემდგომი შრომებისთვის. მაგრამ ეს ალბათ არ იყო მთავარი იმ მიზეზთაგან, რომელთა გამოც ლასკერი ტურნირებში არ გამოდიოდა: ხომ გამონახა მან დრო, რომ ორჯერ სწვეოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთდროული თამაშის სეანსების გასამართავად. „იაფად“ თამაში არ უყვარდა, დიდ გახმარჯულოს თხოულობდა და, საერთოდ, მხოლოდ მაშინ თამაშობდა, როცა ეს საჭიროდ მიაჩნდა.

ლასკერს არც მონტე-კარლოში უთამაშია. დადიანის პირად არქივში არ არის რაიმე მახალა ამის თაობაზე. მიზეზი ალბათ მაინც ის უნდა იყოს, რომ მსოფლიო ჩემპიონს ამ ტურნირში გამარჯვება არაფრად სჭირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ დადიანი მონტე-კარლოს 1904 წლის ტურნირის საპატიო პრეზიდენტიც გახლდათ.

საინტერესოა, რომ შარშან აღდგა მონტე-კარლოს ტურნირების ტრადიცია. წლევანდელ ტურნირში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა მოჭადრაკეებმაც ზ. პოტვინიკმა და ვ. სმისლოვმა.

თ. ბიორგაძე.



ე. ლასკერი

„კოლმეურნემ“ მოგებით დაიწყო

მაჭახელა, 31 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ხელბურთელ ვაჟთა ტურნირში სასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ ტაჯიკეთის, უაზბეთისა და უზბეკეთის გუნდები. ამის გამო კენჭისყრა ხელახლად გაიმართა. I ქვეჯგუფში შეიკრიბნენ ლიტვის, ლატვიის, მოლდავეთისა და საქართველოს სპორტსმენები, მეორეში — რსფსრ-ს, უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები, ხოლო მესამეში — ესტონეთის, ბელორუსიის, თურქმენეთისა და ყირგიზეთის წარმომადგენლები.

საქართველოს „კოლმეურნეს“ პირველი შეხვედრა ლატვიელებთან ჰქონდა. თამაში დაძაბულად მიმდინარეობდა. ლატვიელები ბურს უცადნენ როგორმე ჩაეკუტათ მუშტარაული, მაგრამ მან მაინც მოახერხა 8 გოლის გატანა. კარგად ითამაშეს ნიკურაძემ და ჭედიამაც, რომლებმაც 5-5 გოლი გაიტანეს. გოჭაძემ ორჯერ აიღო მეტრის კარი, ზაქარიაძემ და ციტაშვილმა — თითჯერ. მატჩი მოიგო „კოლმეურნემ“ — 22:19 (12:7).

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: ლიტვა — მოლდავეთი 31:13 (13:6), რსფსრ — უკრაინა 20:14 (8:9), სომხეთი — აზერბაიჯანი 37:9 (14:6), ესტონეთი — თურქმენეთი 38:12 (21:4), ბელორუსია — ყირგიზეთი 16:11 (9:6).

ჯ. ენუქიძე.

„ლელოს“ წუკილისის ჯვალებზე

„სად ვითამაშოთ?“

ჩვენი გაზეთის 18 ივნისის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებული წერილის პასუხად საქართველოს კომუნისტური პარტიის მარნეულის რაიკომის მდივანი მ. შუბაძიძე გვატყობინებს, რომ წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობას ფეხბურთის მინდორი სხვა ადგილზე გადაუტანია. ამჟამად სტადიონი სოფლის ცენტრში კეთილმოწყობილია.

„უყურადღებოდ მიტოვებული“

ჩვენი გაზეთის 31 ივლისის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჩაშლილია.

ამ დღეებში ჩოხატაურის სპორტკავშირის თავმჯდომარემ დ. ჩხიკვაძემ გვაცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. ზომლეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გ. მგელაძემ ახალგაზრდობას პირობა მისცა, რომ კეთილმოეწყობა ფრენბურთის მოედანი. ფეხბურთის მინდვრის მოსაწყობად გამოიყო საჭირო ფართობი. გამგეობა ფიზკულტურელებისთვის შეიძენს სპორტულ ინვენტარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საქართველოს თასის ფინალია

დასასრულს მიუახლოვდა ჩვენი რესპუბლიკის თასის გათამაშება: დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე, 16 საათსა და 30 წუთზე, ერთმანეთს შეხვდებიან გადამწყვეტი მატჩის მონაწილენი — ადგილობრივი „სინათლე" და წულუკიძის „ფეიქარი".

ნახევარფინალურ მატჩებში ამ გუნდებმა მძიმე ბრძოლა გადაიტანეს. ორივე ეს შეხვედრა თბილისში გაიმართა. წულუკიძელებმა დამატებით დროში ანგარიშით 3:2 სძლიეს გარდაბნის „შრომით რეზერვებს", ხოლო „სინათლემ" დაამარცხა ხიღნალის „მშენებელი" — 1:0.

სსრ კავშირის პირველობა

„დინამო" გააპროტესტა...

II „ა" ჯგუფი

III ქვეჯგუფი

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 30 აგვისტო.

„დინამო" (ბათუმი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 1:1 (1:0).

„დინამო": კვახაძე, ჩხაიძე, ჭორიძე, სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, ახვლედიანი, კვიტაიშვილი, გიორგაძე, მაისურაძე, რ. გაგუა.

„ტორპედო": დუდკინი, მარმაზა (ტიმოშევსკი), პისარევი, დონჩენკო, მარშანსკი, ივანოვი, პანკრატოვი, ბულჩანკოვი, ბორისენკო, პისარენკო (კაციუბა), ლევჩენკო.

მსაჯი ო. ნირკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1 დინამოელთა სასარგებლოდ.

თავდაპირველად უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო. მე-7 წუთზე ახვლედიანმა, გიორგაძემ და მაისურაძემ ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ბურთი გადასცეს კვიტაიშვილს, რომლის უძლიერესი დარტყმა გაჰპირვებით მოიგერია დუდკინმა. ორიოდე წუთის შემდეგ სურათი გამეორდა, მაგრამ ტორპედოელთა მეკარე ამჯერადაც მოწოდების სიძაღლეზე აღმოჩნდა. მე-11 წუთზე სტუმრების კარი ერთხელ კიდევ გადაურჩა გოლს: გიორგაძის მიერ შორიდან ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. 3 წუთის შემდეგ ბურთი ტორპედოელთა კარის ბადეში გაეხვია. ეს შოხდა მას შემდეგ, რაც პისარევმა თავის საკარიმო მოედანზე ხელით შეაჩერა ბურთი და გ. ორგაძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 1:0.

გატანილმა გოლმა დინამოელები „დააშვიდა": მათ უბრძოლველად გადაუოლეს ინიციატივა მეტოქეს და დაიწყო მასპინძელთა კარის ხანგრძლივი შტურმი. ახლა უკვე კვახაძის დრო დადგა და მანაც რამდენიმეჯერ ჩაფუშა ტორპედოელთა სახიფათო გარღვევები.

75-ე წუთზე სტუმრებმა მაინც აიღეს „დინამოს" კარი. მათ კუთხური გაითამაშეს და მარშანსკიმ ანგარიში გაათანაბრა.

შემდგომში ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს კარგი მომენტები.

მატჩის მიწურულში მსაჯმა უხეში თამაშისთვის მინდერიდან გააძევა დუდკინი და მაისურაძე, მაგრამ, ამ გადაწყვეტი ზომის მიუხედავად, მან ვერ დაამყარა წესრიგი მინდორზე — მოთამაშეთა უხეშობა ვერ აღკვეთა. საერთოდ, მსაჯმა შეხვედრა ჩაატარა ერთობ სუსტად, არაკვალიფიციურად. დინამოელებმა მატჩი გააპროტესტეს.

ო. შურგაიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



ამბროლაურში იწყებენ ფეხბურთს

დღემდე ამბროლაურში ფეხბურთი არ იყო. ბავშვები და ჭაბუკები, რა თქმა უნდა, თამაშობდნენ, მაგრამ ლაპარაკია რესპუბლიკურ ფეხბურთზე.

ადრე არც მინდორი ჰქონდათ, მაგრამ ახლა აკეთებენ. რაიკომის მდივნის მ. ბიბილაშვილის თაოსნობას ამბასკომის თავმჯდომარემ ნ. შარაბიძემ აუბა მხარი. კარგმა საქმემ ყველა ერთნაირად გაიტაცა: სპორტკავშირის თავმჯდომარე ა. ვარაძეც, მშენებლობის მწარმოებელი, ინჟინერი ბ. მუნაბდეც...

ახალ სპორტულ ბაზას ულამაზეს ადგილას, შუა ქალაქში აშენებენ. ახლა მინდორს ასწორებენ, ტრიბუნები 10 ათას მაყურებელს დაიტევს. ექნებათ ფეხბურთის მინდორი და ერთიც საწვრთნელი მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები, საცურაო აუზი, ერთი სიტყვით, პირველხარისხოვანი ბაზა.

მიწის სამუშაოები უკვე მთავრდება. 1969 წლის საფეხბურთო სეზონის დასაწყისისთვის ახალი ბაზა მზად იქნება.

კეთილი გზა ამბროლაურის ფეხბურთს!

ი. გოგორაძე,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათზე: სტადიონის მშენებლობა.

ფრენბურთმა დედაქალაქი შეიცვალა

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა 40-ე ჩემპიონატმა არა მარტო ახალი ჩემპიონი მოგვცა (როგორც ცნობილია, უმაღლესი ტიტული ტალინის „კალევმა" დაისაკუთრა), არამედ საპრიზო სამეულიც განაახლა: „კალევის" პირველ „მოადგილედ" დადგა (ასევე პირველად) ალმა-ათის „ბურევესტნიკი".

ესტონეთის გუნდის წარმატება, რომელმაც სამ წელიწადში მეორე ლიგიდან საჩემპიონო ტახტამდე გაიარა გზა, შემთხვევითი არ გახლავთ: „კალევმა" საკუთარი სკოლა გამოავლინა სხვა ორი კოლექტივისგან განსხვავებით, რომელთაც ძალისმიერი და სწრაფი თამაშის მანერა ახასიათებთ, „კალევმა", თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტელექტუალური ფრენბურთი წარმოგვიდგინა. მისი საფუძველია ჭკვიანური თამაში — ბლოკის გარღვევა კი არა, მისი „შეშოვლა" ტაქტიკური ილეთის დახმარებით და ა. შ. „კალევს" ინჟინერების გუნდს უწოდებენ (აქ მოთამაშეთა უმეტესობა მართლაც ინჟინერია). ესტონელთა მოქმედება თითქოს ნახაზებს მიხედვითაა გაანგარიშებული და ჩანაფიქრის სიღრმითა და შესრულების მოქნილობით გამოირჩევა.

გუნდის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა მისმა კაპიტანმა პ. რაიმა. იგი ხშირად 180 გრადუსის შემობრუნებით ურტყამს ხოლმე. მაშინაც კი, როცა რაიგი უკანა ხაზზე გადადის, მაინც ერთობ სახიფათოა მეტოქეთათვის. „კალევს" არსენალში აქვს კარგად დამუშავებული კომბინაცია კაპიტნის ბადესთან გასვლით — იგი არა მარტო მრისხანე ბომბარდირია, არამედ ბრწყინვალე მომწოდებელიც.

ჩვენ სულაც არ გვსურს დავამციროთ ახალი ჩემპიონის ღირსებები, მაგრამ უნდა აღინიშნოს მოსკოვის გუნდების სუსტი გამოსვლა. ქუჩყნის თერთმეტგზის ჩემპიონმა ცსკა-მ დაიკავა... VII ადგილი. ამბობენ, გუნდს სსრ კავშირის ნაკრებში წასული მონძოლევსკი და სიბირიაკოვი აკლდნენო... მაგრამ ეს ვერაფერი საბუთია. ხომ შეძლეს ალმა-ათელებმა ორი მოუწინავე ბომბარდირის გარეშე ვერცხლის მოხვეჭა!

დედაქალაქის „ბურევესტნიკი" გაიარა ნაგრძობს თავის უდიმღამო „ფრენას" — გუნდი X ადგილზე „დაფრინდა". ეს კოლექტივი კი უზარმაზარი რეზერვის პატრონია: მარტო მოსკოვში 70-მდე უმაღლესი სასწავლებელია. მოსკოველ დინამოელებს კი ერთობ უჭირთ ტურნირში მათ უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის უნდა იბრძოლონ.

საქმე, ცხადია, მხოლოდ დაკავებულ ადგილებში როდია — მოსკოვის გუნდები, რომლებიც მუდამ ითვლებოდნენ საფრენბურთო მოდის დამფუძნებლებად, აგერ უკვე რამდენიმე წელია ასალს არაფერს გვიჩვენებენ თამაშის ტაქტიკაში, შაბლონურად მოქმედებენ და მხოლოდ ძლიერი დარტყმების იმედი აქვთ.

აი, რას ამბობს ესტონეთის სახელმწიფო მწვრთნელი ო. სალუნდი:

— ჩვენს ფრენბურთელებს ცსკა-ს ტაქტიკით რომ ეთამაშათ, არათუ ჩემპიონები ვერ გახდებოდნენ, არამედ ალბათ უმაღლეს ლიგასაც გამოეთხოვებოდნენ. ფრენბურთი ახლა რთულ ევოლუციას განიცდის. მაბსოვს, ტალინში ბაქოს ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გუნდი გამოდიოდა. ბაქოელების ძალზე უჭირსიულმა, დინამიურმა, მეტისმეტად მახვილგონიერულმა თამაშმა ესტონელი გულშემატკივრების დიდი ტაში და მოწონება დაიმსახურა. წლევანდელ ჩემპიონატში გუნდებს რვა თვეში 44-44 მატჩი უნდა ჩაეტარებინათ და მხოლოდ ძალაზე დაყრდნობა, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილობა იყო.

* * *

გასაკვირი უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა ლუგანსკის „ზვეზდამ", რომელმაც თავი გამოიჩინა სოჭში ახლახან დამთავრებულ ტურნირში. სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ სწორედ ამ გუნდში თამაშობს ქვეყნის ნაკრების განთქმული ბომბარდირი ვ. ბელიაევი. ლუგანსკელების „მოადგილეებს" — ლენინგრადის „სპარტაკსა" და თბილისის „ბურევესტნიკს", აგრეთვე, I ჯგუფის ორ აუტსაიდერს — მოსკოვის „დინამოსა" და მინსკის „ბურევესტნიკს" უმაღლესი ლიგის დარჩენილი ვაკანსიისთვის მოუწევთ ბრძოლა.

ბათამაშების საბოლოო ცხრილი

	ჯ.	წ.	ქ.
„კალევი" (ტალინი)	32	12	76
„ბურევესტნიკი" (ალმა-ათა)	30	14	74
„რადიოტექნიკი" (რიგა)	28	16	72
„ბაინური" (ბაქო)	26	18	70
„ბურევესტნიკი" (ხარკოვი)	25	19	69
ასკ (როსტოვი)	25	19	69
ცსკა	20	24	64
„ლოკომოტივი" (კიევი)	19	25	63
„ბურევესტნიკი" (ოდესა)	16	28	60
„ბურევესტნიკი" (მოსკოვი)	16	28	60
„დინამო" (მოსკოვი)	15	29	59
„ბურევესტნიკი" (მინსკი)	12	32	56

ჯარი ქვეყვეგი

● **ლენინგრადი, 30 აგვისტო.** დღეს აქ გაიმართა მოსკოვისა და ლენინგრადის ფეხბურთელთა ახალგაზრდული გუნდების შეხვედრა „იმედის თასზე". ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს მოსკოველებმა, რომლებმაც მოიპოვეს ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება.

● **მოსკოვი, 30 აგვისტო.** ლუჟნიკის სტადიონზე დღეს გაიმართა ვეტერან ფეხბურთელთა საინტერესო მატჩი: თამაშობდნენ ძველი სპარტაკელები და არმიელები. ცხადია, მატჩმა მრავალრიცხოვანი აყურებელი მიიზიდა. გულშემატკივრებმა მინდორზე იხილეს წარსულში პოპულარული ფეხბურთელები სიმონიანი, რაზინსკი, ფალინი, ტიშენკო, დემენტიევი, გრინინი, პეტროვი, მასლიონკინი, მოზერი და სხვ. შეხვედრა სპარტაკელთა იერიშით დაიწყო და სულ მალე ფალინმა გახსნა კიდეც ანგარიში. მე-20 წუთზე დემენტიევ — მოზერის კომბინაცია ლამაზი დარტყმით დააგვირგვინა სიმონიანმა. სპარტაკელებმა მატჩის დამთავრებამდე მესამე გოლის გატანაც შეძლეს. თავი ამჯერადაც სიმონიანმა გამოიჩინა.

იქნებ თქვენ ამოიცნოთ...

ფოტოგრაფ კოზლოვის მიერ გადაღებულ სურათზე ალბეჭდილი არიან რუსეთის I ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის" თბილისის პრეზიდიუმის წევრები.

ზოგიერთი მათგანის ამოცნობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს (მაგალითად, ჩეხები ლუკეში და ვახტანგ, გ. ეგნატაშვილი, გ. ბერელაშვილი), მაგრამ უმრავლესობის გვარები ჩემთვის უცნობია. შესაძლოა, „ლელოს" მკითხველებმა იციან ფოტოსურათზე აღბეჭდილთა ვინაობა.

ნუ დაიზარებთ და აცნობეთ რედაქციას.

დ. მაღალაშვილი.

თელავი.

საბოლოოდ გვთხოვენ

რედაქციაში შემოვიდა წერილი მესტიის რაიონის სოფელ ეცერიდან. აქაური ახალგაზრდების სახელით ბ. სვანიძე გვწერს, რომ სოფლის ფეხბურთელებს არა აქვთ სათამაშო მინდორი და არც ვინმე ფიქრობს მათთვის დახმარების აღმოჩენაზე.

ასეთივე წერილი მივიღეთ დაბა ორჯონიკიძის სოფ. ხაღანძილიდან. არც აქ ზრუნავს კოლმეურნეობის გამგეობა ხელი შეუწყოს სოფლის ფეხბურთელებს და გამოუყოს მათ ფეხბურთის სათამაშო ადგილი. კიდევ მეტიც: სპორტსმენებმა საკუთარი ძალით გააკეთეს მინდორი, მაგრამ სოფლის თავკაცებმა სახნავად გამოიყენეს იგი. ამის შესახებ მივიღეთ წერილი ვ. და ბ. კიკნაძეების ხელმოწერით.

ვფიქრობთ, ეცერშიც და ხაღანძილეშიც გამოჩნდებიან გულისხმიერი ადამიანები, რომლებიც საქმიან დახმარებას აღმოუჩენენ ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

ტაქტიკური სქემები

გურჯაანი

ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. 34 მონაწილემ შეასრულა სათანადო ნორმატივები. საერთო გუნდური პირველობა მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ ჩუმლაყის, III — ბაკურციხის კოლმეურნეობის მძლეოსნები.

ი. ოდიშელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბუნება დიდი ხუროთმოძღვარია. მას შეუძლია ათასეული წლების მანძილზე მოთმინებით „აშენოს“ მიწისჭვეშა სასახლეები, ძერწოს და აჭანდაკოს ჯადოსნური ფორმები, გამჭვირვალე სტალაქტიტები და კოპრისებივით ტანკენარი სტალაგმიტები, მძიმე თეატრალური ფარდებივით დაშვებული ნაოჭები და პაწია მარგალიტები, ძაფზე უწვრილესი ჰელიქტიტები და 30-მეტრიანი სვეტები. მღვიმის ბნელ დერეფნებში ჭუხილით მიედინებიან მდინარეები და ხახადაღებულ უფსკრულებში იკარგებიან.

სპელეოლოგია მეცნიერებისა და სპორტის ბედნიერი შერწყმაა. მიწის ქვეშ ადამიანს ფართო ასპარეზი აქვს როგორც გონების ვარჯიშისთვის, ასევე ესთეტიკური ტკბობისთვის. მართალია, მას ხშირად უხდება ვიწრო ნაპრალებში ძრომა, ყინულივით ცივი წყლის „აბაზანების“ მიღება, თავბრუდამხვევი ტრიალი თოკის კიბეზე, მაგრამ დროდადრო დარბაზის ცივ მდუმარებაში განმარტოება და ალადინის ჯადოსნური სამყაროს ჭვრეტა, ასმაგად ანაზღაურებს ყოველივეს. ვინც ერთხელ ეწვევა მიწისქვეშეთს, არ შეიძლება მისი მეორედ ნახვა არ მოისურვოს.

ჯ. ჯიშკარიანი.

სურათებზე: სამზადისი მღვიმეში შესვლის წინ; „მთვარის ზედაპირის ლანდშაფტი“; სინათლემდე ერთი ნაბიჯია.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 48-ბ) იმუშავებენ შახიანი საბანაო ნემენტო გამაჯანსაღებელი ჯგუფები ცურვაში.

აბონემენტები იყიდება ყოველდღე 9-დან 12 საათამდე და 14-დან 17 საათამდე.

ცნობებისთვის მიმართეთ დარეკვის. ტელეფონი 22-61-00.

ჯვარი მაშტაბებში

უფრო დიდი ასპარეზობისთვის

დუშანბე, 29 აგვისტო. ჭალაჭის საუკეთესო ბაზები ხუთი დღის მანძილზე ტაჯიკეთის ქალთა IV ახალგაზრდული სპარტაკიადის მონაწილეებს ეპყრათ. გუშინ გაიმართა დასკვნითი შეჯიბრებები.

ველოსიპედისტთა ჯგუფური რბოლა 50 კილომეტრზე დიდი სისწრაფით წარიმართა. ოქროს მედალი დაისაკუთრა ლ. შესტაკოვამ (დუშანბე-I) — 1.22.55. დისტანცია მთიან ადგილს მიჰყვებოდა და ყველა მონაწილემ მნიშვნელოვნად გადააჭარბა პირველ. თანრიგის მედეგს. მეორე პრიზიორმა ვ. მარაევამ (ჩრდილოეთ რაიონების ჯგუფი) გამარჯვებულთან მხოლოდ 35 წამი წააგო, III ადგილზე გასულმა ვ. იარუსოვამ კი 36 წამი.

ოქროს სამი მედალი ხვდა სპორტის ოსტატ ზ. რახმატულაევას, რომელმაც I ადგილები დაიკავა 100 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში. თანაგუნდელებთან ერთად მან გამარჯვება მოიპოვა ესტაფეტურ რბენაშიც.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ტაჯიკეთის სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს გარდამავალი პრიზი და რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამხსოვრო პრიზი დაისაკუთრა დუშანბეს ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ ჩრდილოეთ რაიონების სპორტსმენები, III — პამირელი მთიელები.

ტაჯიკეთის სტარტები დამთავრდა, მაგრამ უძლიერესებმა უკვე დაიწყეს მზადება ახალი ბატალიებისთვის. 21 სექტემბერს დუშანბეში მუა ახალი რესპუბლიკებისა და ტაჯიკეთის სპორტსმენი ქალები მოიყრიან თავს. დაიწყება I სპარტაკიადა, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება.

დიდი უპარს ამბოხს

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა დიდიმ, რომელიც პერუს ნაკრებსა და ლიმას „კრისტალს“ უდგას სათავეში, ამას წინათ წერილი მიიღო ესპანეთიდან. აქ დიდის იცნობენ იმ პერიოდიდან, როცა იგი მადრიდის „რეალში“ თამაშობდა, თუმცა ამ გუნდში ბრაზილიელმა მაინცდამაინც ვერ გაშალა ფრთები.

რა უნდათ ესპანელებს დიდისგან? მსოფლიო ჩემპიონატის წინ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია აწყობს მწვრთნელთა სემინარს, სადაც დიდიმ მწვრთნელებს ლექციების კურსი უნდა წაუკითხოს.

მარტო ესპანეთში როდი აფასებენ ამ განთქმულ ფეხბურთელს. იგი ღებულობს წერილებს აშშ-ს პროფესიული ლიგის გუნდებიდან, მაგრამ დიდი ყველას უარით ისტუმრებს და აცხადებს, რომ უახლოეს წლებში პერუს არ დატოვებს, რომლის ნაკრებსაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ამზადებს.



უსიტყვოდ

ნახ. ვ. კაკაბაძისა.

ჭადრაკის მერიდიანებზე

▲ ლონდონი. უსინათლო მოჭადრაკეთა III ოლიმპიადაში 19 ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა. ოლიმპიური ჩემპიონების ოქროს მედლები საბჭოთა მოჭადრაკეებმა — ოსტატობის კანდიდატებმა რუდენსკიმ, ჩირკოვმა, გიმოდეევმა, ტურუკინმა დაისაკუთრეს. მათ 35 ქულა მოაგროვეს 44 შეხვედრაში. II ადგილი ხვდათ წინა ორ ოლიმპიადაში გამარჯვებულ იუგოსლავიელებს (33 ქულა), III — რუმინელებს (31,5).

▲ იუგოსლავია. იუგოსლავიისა და რუმინეთის მოჭადრაკე ქალთა ორწრიანი ამხანაგური მატჩი 8 დაფაზე სტუმრებმა მოიგეს — 9,5:6,5, სამაგიეროდ, პირველ დაფაზე მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩმა ორივე პარტია მოუგო რუმინელთა ლიდერს ა. ნიკოლაუს.

▲ ამსტერდამი. ჰოლანდიის ჭალთა ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყვეს ვეტერანმა ჰეემსკერკმა და ახალგაზრდა ტუკმა. თბილისის ქალთა V საერთაშორისო ტურნირის მონაწილე კ. ვრეკენმა, მხოლოდ III ადგილი დაიკავა.

▲ არგენტინა. ქვეყნის ჯაჭთა პირველობაში 12 უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა. კვლავ გაიმარჯვა 58 წლის დიდოსტატმა მ. ნაიდორფმა — 8 ქულა.

▲ ვისბადენი. გერ-ის ამ ქალაქში გაიმართა ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ადგილობრივი სპორტსმენების გარდა მონაწილეობდნენ რუმინეთისა და გდრ-ის წარმომადგენლები. სხვებზე უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ რუმინელი მსროლელები, რომლებმაც პროგრამის თითქმის ყველა სახეობაში იმარჯვეს.

▲ ბრიუსელი. ესპანეთის ველოსიპედისტთა ნაკრების გამარჯვებით აღინიშნა აქ გამართული საერთაშორისო შეჯიბრება 100 კილომეტრზე საგზატკეცილო რბოლაში. აღსანიშნავია, რომ ესპანელთა შემადგენლობაში გამოდიოდა მხოლოდ ერთი ვეტერანი — ნ. ჰამენესი. დანარჩენები: ჰ. გომესი, მ. მარია-ლასა და ჰ. ლინარესი ახალგაზრდები არიან. გამარჯვებული გუნდის შედეგია 2:25.08,0. მომდევნო ადგილები დაისაკუთრეს გერ-ისა და საფრანგეთის ველოსიპედისტებმა.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 3 სექტემბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (მახაჩყალა). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. 30 წ.

ჭიდაობა. საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის აუზი. 3-9 სექტემბერი. „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო ტურნირი. მონაწილეობენ ლენინგრადის, კიევის, ტაშკენტის, ალმა-ათის, ერევნის, თბილისის (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) სტუდენტთა გუნდები, ნოვოსიბირსკის „დინამო“, გომელის „ვოდნიკი“. დასაწყისი 17 ს.

თბილისის სპორტის სახახლე

10 სექტემბრიდან
ლენინგრადის
ბალეტი ყინულზე

წარმოდგენების დასაწყისი 13 საათზე და 20 საათზე.

წინასწარი განაცხადები მიიღება 4 სექტემბრამდე. ბილეთები იყიდება სპორტის სახახლის სალაროებში, ცენტრალურ თეატრალურ სალაროში (რუსთაველის პრ. № 44) და მის ფილიალებში. ტელეფონები: 36-23-04, 36-00-31, 93-50-02, 93-50-07.

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისთვის.

სკოლაში მიიღებიან 8-9 წლის ასაკის გოგონები და 1959-60 წლებში დაბადებული ჰაბუკები. სწავლება—ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლიდან მოუწყვეტლივ.

შემომსვლელნი სამედიცინო შემოწმების შემდეგ ჩააბარებენ სპეციალურ სპორტულ ნორმატივებს (საერთო ფიზიკური მონაცემების დასადგენად).

სკოლისგან დაშორებით მცხოვრები მოსწავლეებისთვის გამოყოფილია სპეციალური ავტობუსი.

სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლა ამზადებს სსრ კავშირის სპორტის ოსტატებს და საერთაშორისო კლასის სპორტსმენებს.

ტანმოვარჯიშეები 13 წლის ასაკამდე ეუფლებიან ფოტოკინოგადაღების ხელოვნებასაც.

განცხადებების ჩასაბარებლად და ყველა სხვა საჭირო ცნობისთვის მიმართეთ ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალურ ტანვარჯიშულ სკოლას 10 სექტემბრამდე.

სკოლის მისამართი: პეტრიაშვილის ქ. № 7. ტელეფონები 22-70-93, 99-50-53.

სკოლის დირექცია.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 00864